რაც ციფრებს მიღმაა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 22 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “არარატი” (ერევანი) 0:0.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, შენგელია, მესხი.

“არარატი”: სუკიასიანი, კარაპეტიანი, სარქისიანი, ხაჩატრიანი, გალუსტიანი, ოჰანესიანი, მარქარიანი, ოსიპოვი, ბოსტანჯანი, ჩილინგარიანი, მხითარიანი.

46–ე წთ. ცაავას ნაცვლად – ჩქარეული, 75–ე წთ. სვანაძის ნაცვლად – მიქაბერიძე, 78–ე წთ. ოსიპოვის ნაცვლად – პოღოსიანი.

გააფრთხილეს: მარქარიანი.

მსაჯი: ალექსანდრ მუშკოვეცი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 16:9 (9:5), ზუსტი დარტყმა – 6:2 (2:1), საჯარიმო მოედნიდან – 6:3 (3:2).

კუთხური – 16:3 (7:2).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 14 (7), ერევნელები – 14 (7).

აჩვენეთ უცხო კაცს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი და ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ხელს ჩამოგართმევთ და გეტყვით: ახლა აღარაფერი გიჭირთ “დინამოს” გულშემატკივრებს. გეტყვით და მართალიც იქნება, რადგან ცხრილის მიხედვით ნამდვილად ასეა – ჩვენი გუნდი ჩემპიონატის პირველი მატჩიდან მოყოლებული ლიდერთა შორისაა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ უთუოდ მოვიტყუებთ თავს, თუ მხოლოდ მშრალ ციფრებს მივენდობით. ნებისმიერი, ფეხბურთში სულ ოდნავ გარკვეული კაციც კი, ვფიქრობ, საკმაოდ იოლად ამჩნევს “დინამოს” თამაშის არა ერთსა და ორ ხარვეზს, ისეთს, რომელმაც ახლო მომავალში არ შეიძლება არ იჩინოს თავი, თუნდაც, იმავე ციფრებში. ვიმეორებ, მიუხედავად ქულათა საკმაო მარაგისა, გულშემატკივარი უკმაყოფილოა თავისი გუნდით და ამ უკმაყოფილების მიზეზიც აქვს.

ბოლო მატჩებში აშკარად იგრძნობა გუნდის შრომისუნარიანობის დაქვეითება. სხვა ვერაფრით აიხსნება დინამოელთა ნელი, პასიური თამაში, განსაკუთრებით დაცვიდან შეტევაზე გადასვლისა და უბურთოდ მოძრაობის დროს. ამავე მატჩებში შესამჩნევად იკლო კომბინაციებმაც. ეს კი ისეთი კატეგორიის ნაკლია, რომელსაც სახელდახელო ზომებით ვერ გამოასწორებ. ამ თვალსაზრისით გუშინდელი შეხვედრა ტყუპისცალივით ჰგავდა ბაქოს “ნეფთჩისთან” მატჩს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ “არარატთან” შეხვედრაში ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურმა ოსტატობამ ვეღარ მოგვიტანა სასურველი შედეგი.

თბილისის “დინამოს” შეტევები რომ სტიქიურია, სათანადოდ რომ ვერ არის მოგვარებული ფეხბურთელთა ურთიერთმოქმედება, მშვენივრად ჩანს თუნდაც ერთი ფაქტიდან: ერევნელთა კართან არავითარი გართულება არ მოჰყვა მესხის ოთხ და კეტაშვილის შვიდ სოლო შეტევას. ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთებს ვერა და ვერ მოეძებნა ადრესატი.

ერთობ ბევრს სცოდავენ ფეხბურთელები კარში დარტყმისას. გუშინდელ მატჩში საჯარიმო მოედნის გარედან დარტყმული ათი ბურთიდან მხოლოდ სამი წავიდა კარის მიმართულებით. ასეთი დაბალი პროცენტით, რა თქმა უნდა, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. თუმცა, რაღა შორიდან, თბილისელები ერთობ ხშირად იბნევიან

კარის უშუალო სიახლოვესაც, სარეცენზიო მატჩში გოლის გატანის ასეთი ორი, რომ იტყვიან ნაღდი შესაძლებლობა დაიკარგა.

ერთადერთი, ვის მიმართაც ძნელია საყვედურის გამოთქმა, დინამოელთა დაცვაა, მაგრამ ერთი საიმედო რგოლი ძალზე ცოტაა გუნდისთვის, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას რომ ფიქრობს. "დინამოს" აქილევსის ქუსლად კვლავ და კვლავ რჩება ნახევარდაცვა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თავმოსაწონებელი ამ ხაზს არაფერი აქვს – არც ათლეტური აღნაგობა, არც გამძლეობა, არც კომბინაციური ალღო და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, არც მონდომება, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ნაკლს დროდადრო მაინც რომ ფარავს ხოლმე.

ცხადია, ამდენი საყვედური არ დაგროვდებოდა და არც ითქმებოდა ნამდვილად ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში, მაგრამ საქმეც ის არის, რომ დღევანდელი "არარატი" სულაც არ არის ასეთი. გუნდი ქულას ქულაზე კარგავს, ვერც შინ და ვერც სტუმრად ვერ აბამს საქმეს თავს, ახლახან კი იგი უფროსი მწვრთნელისა და ერთ–ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ხორენ ოჰანესიანის გარეშე დარჩა.

რა თქმა უნდა, გუშინდელ მატჩში მასპინძლებს ჰქონდათ საგოლე მომენტები, თამაშის მიწურულს "დინამომ" საკმაოდ აზარტულადაც შეუტია მეტოქეს, მაგრამ ხუთიოდე წუთის მონდომება ერთობ იშვიათად ახდენს ზეგავლენას თამაშზე, ოთხმოცდაათ წუთს რომ გრძელდება.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 23 მაისი, 1985 წ.